ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1725 ყოველ-დღიური გამოცემა **1896—1902** ოთხშაბათი, 13 თებერვალი **№ 1725**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

შაბათს, 16 თებერვალს, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად სოფ. ქისტაურს. ასულნი და სიძენი განსვენებულისა აუწყებენ ამას ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის მგოსნის პატივის მცემელთ (რ. 3 3)

ხუთშაბათს, 14-ს თებერვალს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ამავე ეკკლესიის მღვდლის იოსებ ბერაძის ასულის

ელისაბედის

სულის მოსახსენებლად. მშობლები, დიდ-დედები, მამის-და და დედის-დანი, აუწყებენ დაუვიწყარის ლიზიკოს ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 საათზე. (1—249—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით

მეფე ლირი

ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა თარგ. მაჩაბარიანისა და მაჩაბლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა. ბ.ბ. ყიფიანი, გუნია, სვიმონი ძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, სარჯველაძე, მოურავიშვილი, კორტოხელი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „დემონი“ ოპერა რუბინშტეინისა, „ძალა აღმართსა ხნავს“. „ზოგი ჭირი მარგებელია“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

მივიწყებული ალთქმა

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. საყურადღებოდ

(წერილი რედაქციაში)

როდესაც ქართველთა ტომის ყველა ხალხთა წარმომადგენელნი დაესწრნენ საიუბილეო დღესასწაულს, რომელიც გაიმართა ქ. ტფილისში ჩვენის ნეტარ-ხსენებული მგოსნის, მხცოვან რაფიელ ერისთავის 50 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობისა გამო, სხვათა შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერს, ბედმა მარგუნა მომესმინა შესამკობელი მილოცვანი მრავალის საზოგადოებისა და მათ შორის ჩვენის ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისაც.

ამ პატივცემულმა საზოგადოებამ, თავისი წარმომადგენლის პირით მიულოცა რა დღესასწაული იუბილიარს, აღუთქვა საზოგადოების მხრით, რომ იგი მის სახელზედ დააარსებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს იქ, სადაც საყვარელი მგოსანი დაბადებულა.

ეს ამბავი როგორც თვით იუბილიარს, ისე ყველა იქ დამსწრეთ დიდად ესიამოვნათ: განსაკუთრებით კი მეტად ჩვენ, ლეხურის ხეობლებს, რადგანაც მაშინვე გულში იმედი აგვენთო, რომ ეს ბედი ჩვენ გვეწვევა და რაფიელის სახელობაზედ ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსდება ჩვენ ს. ქვემო-ჭალაშიმეთქი. თუ არა ვცდები, „საზოგადოების“ წარმომადგენელმა მაშინვე იმიტომ არ დაასახელა სამკითხველოს დასაარსებელი ადგილი, რომ იმ ჟამად ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო გამორკვეული, თუ ნამდვილად სად დაიბადა რაფიელი: ქართლში—ს. ქვემო-ჭალაში, თუ კახეთში—ს. ქისტაურში. ბოლოს ისე გამოირკვა ეს საკითხი, რომ მგოსანი თუმცა მონათლული კახეთში აღმოჩნდა, ხოლო დაბადებულა ქართლში, თავის დედის ავთანდილ ამილახვრის ქალის სამშობლო სოფელ ქვემო-ჭალაში.

იქაურ ახალგაზდობასაც განზრახული ჰქონდათ წინადვე და წარმოდგენაც გაემართნათ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების სასარგებლოდ და შვიდ თუმანზე ცოტა მეტი წმინდა მოგებაც დარჩათ. ეს თანხა ამ მიზნით ინახებოდა შარშანდლამდე. მხოლოდ შარშან, როცა ამ აღთქმის შემდეგ განვლო რამდენმამე წელმა და ზემოხსენებულმა საზოგადოებამ ჩვენში სამკითხველოს დაარსებაზე აღარა სთქვა რა და ჩვენ კიდევ მარტო ამ პაწია თანხით ვერას დავიარსებდით, ამიტომ შარშან აქაურმა წარმოდგენების მმართველმა პატარა წრემ აიღო ეს თანხა და მიუმატა „სამუდამო სცენის დასაარსებელ“ თანხას იმ მოსაზრებით, რომ სცენის შემწეობით ადვილად შეგვეძლებოდა ბიბლიოთეკისათვის საჭირო ხარჯისა და ბინის შეძენა. რადგანაც სამუდამო სცენის დაარსების საქმე უფრო რთულია, ამიტომ კიდევ კარგა ხანი გაივლის და, ცხადია, მის შემაცქერალ ბიბლიოთეკის საქმეს უფრო მეტად დაუგვიანდება.

ს. ქვემო-ჭალასა და მის ახლო-მახლოდ მდებარე სოფლებში, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ერთი სამოც კომლამდე იქნება კითხვის მსურველი და თუ ამას დაუმატებთ საზაფხულოდ ქალაქებიდან მოსულ ხალხსა და ამ სოფლების 4—5 სასწავლებლების მასწავლებელ-მოწაფეებს, ცხადად დავინახავთ სამკითხველოს საჭიროებას ს. ქვემო ჭალაში. ამიტომ გავახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ დროა ახლა მაინც მოიყვანოს აღსრულებაში თვისი აღთქმა; ჩვენც ჩვენის მცირედი თანხით დავეხმარებით და შეერთებულის ძალით ამ ძნელ საქმეს დავძლევთ. აქამდისაც ბევრჯერ მინდოდა გამოვხმაურებოდი პატივცემულ საზოგადოებას, მაგრამ ეხლა შემდეგმა შემთხვევამ უფრო გამაბედვინა. შობის მესამე დღეს დავესწარ ს. ქვემო-ჭალაში სამინისტრო ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებელში გამართულ საბავშვო წარმოდგენა-კონცერტს და შობის ხეს. ჩემის მხრივ ბავშვებისათვის სათამაშოებისა და ტკბილეულობის ნაცვლად ორმოციოდე პატარა ქართული წიგნები მივიტანე დასარიგებლად. ღმერთო ჩემო, რა სასიამოვნო მოვლენას შევესწარ! ბავშვებს ყველა საჩუქრებსა და ტკბილეულობაზე მეტად წიგნაკებისკენ რჩებოდათ თვალი. იქ დამსწრე გლეხების მოზრდილმა ქალებმა და ვაჟებმა მითხრეს: „უმაწვილო, ჩვენც ვიცით ქართული კითხვა, მაგრამ გვავიწყდება, რადგანაც წიგნები არა გვაქვს და თქვენ სადღეგრძელოდ ე წიგნები ზოგი ჩვენც გვაჩუქე, შეგირდებს თავისი წიგნებიც ეყოფათ სასწავლებლათაო“. წიგნები ნახევარი უფროს შეგირდებს დავურიგე და ნახევარიც სოფლის ქალ-ვაჟებს.

მაგრამ ეს ხომ ზღვისათვის ერთი წვეთია მხოლოდ. რამდენს ან როდემდის ეყოფათ ეს პატარა წიგნაკები საკითხავად!

ლეხურელი.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ამ დღეებში ლონდონში სიტის საბჭომ თანაგრძნობის ადრესი მიართვა ჩემბერლენს და იმის პატივსაცემლად ქალაქის საბჭოს დარბაზში საუზმე გამართა. ეს ნამდვილი გამარჯვება იყო ჩემბერლენისა.

როცა კოლონიების მინისტრი ჭილდ-ჰოლდში მიდიოდა, გზაში ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა; მერე კიდევ, როცა ქალაქის თავმა ოქროს ყუთით ადრესი მიართვა და ქალაქის მმართველობის სახელით მიესალმა, დამსწრე საზოგადოების აღტაცებას ნამდვილად საზღვარი არა ჰქონდა. ქალაქის თავის პასუხად კოლონიების მინისტრმა ილაპარაკა და მთავრობის პოლიტიკას გამოესარჩლა. ჩემბერლენის პატივის-საცემად გამართულ ნადიმზე თითქმის ყველა მინისტრები მოვიდნენ. ბალფურმა ქალაქის თავის სადღეგრძელო დალია, თანაც დიდი ქება შეასხა ჩემბერლენს. ორატორის სიტყვით, ჩემბერლენმა ორი დიდი საქებური საქმე გაარიგა: ავსტრალიის ფედერაცია დააარსა და ბრიტანიის კოლონიებს სამხრეთ-აფრიკის ომში მონაწილეობა მიაღებინა. მალე მესამე დიდ საქმეს დაამთავრებს: ესაა—სამხრეთ-აფრიკის დამშვიდება.

„დეილი ნიუს“-ი ამ დღესასწაულის თაობაზე ამბობს, რომ ეხლა ჩემბერლენისთანა გამოჩენილი კაცი არაა სამინისტროს დასში და თუ სოლსბერი სამსახურიდან გადადგება, პირველ მინისტრად ან ჩემბერლენი დაინიშნება, ან ლორდ როზბერიო. გაზეთი ამბობს:

„ეხლა ყველამ იცის, რომ ლორდ სოლსბერის დღე დათვლილია და ბრძოლა იმისი სამკვიდროს ხელში ჩასაგდებად სადაა დაიწყება. თუ ჩემბერლენმა პირველი მინისტრის ადგილი მოინდომა, ეჭვი არაა, რომ წუნარსა და დამთმო ბალფურს ადვილად აჯობებს. მტაცებელთა ჯურის მოღვაწეებში კოლონიების ეხლანდელი მინისტრი ყველაზე გამოჩენილი კაცია, თავის საქმე კარგად იცის და რასაც გუნებაში ჩაიდებს, აასრულებს ხოლმე კიდეც. გარკვეულ პოლიტიკასაც მისდევს. ერთად ერთი მოცილე ჰყავს—ესაა ლორდ როზბერი“.

⁂ ირლანდიელმა ნაციონალისტმა ო'შიმ დეპუტატთა პალატაში ჰკითხა მთავრობას: თუ იაპონიას ჩინეთთან ომი მოუხდა და ჩინეთს სხვა სახელმწიფოც მიეშველა, ინგლისი მოვალეა ახალი ხელ-შეკრულობის ძალით იაპონიას მიეშველოს? ან კიდე, თუ რომელიმე სახელმწიფომ ჩინეთისაგან რაიმე საქმეში უპირატესობა მიიღო, ინგლისი და იაპონია როგორ მოიქცევიან ამ შემთხვევაშიო? გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ლორდ კრანბორნმა სწორე პასუხი არ მისცა ო'შის. კრანბორნმა უთხრა: „არაა მიღებული, რომ ხელშეკრულობა ოფიციალურად განმარტონ. ეს მარტო მაშინ შეიძლება, როცა გარემოება მოითხოვს ამისთანა ახსნასაო“.

შეერთებული შტატები. კენტუკის შტატის წარმომადგენელმა უეილერმა პალატაში შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა და თავისი ლაპარაკით ძლიერაც აადელვა პალატა. ორატორმა ცხადად გაჰკიცხა მთავრობის გარეშე პოლიტიკა. უეილერმა სთქვა: „1896 წლამდე ყველა ამერიკელებს თავი მოსწონდათ, რომ ჩვენი დიდებული რესპუბლიკა თავისთვის „განმარტოებული“ იყო; ესეთ პოლიტიკას ყველანიც აქებდნენ, მაგრამ ხუთის წლის წინად განსვენებულმა პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ ინგლისს გაუწოდა ხელი; ჩვენი მთავრობა ეხლაც გულში იხუტებს ამ სახელმწიფოს. განა რა სიკეთე გაუწევია ჩვენთვის ინგლისს? ყოველთვის შეერთებული შტატებს მტრობდა და ეწინააღმდეგებოდა. ეხლაც ჩვენი მთავრობა ლაქიების გაგზავნას აპირობს ინგლისში. ატლანტიის ოკეანეს გაღმა უნდა გავიდნენ ეს ლაქიები, რომ ინგლისის მეფის წინ მუხლი მოიყარონ და ხელზე ეამბორონ. ამ მეფის მთავრობა კი ცდილობდა, რომ შეერთებული შტატებისთვის ევროპის სახელმწიფოები მიესია! ამერიკის პირდაპირი, პატიოსანი პოლიტიკა სულ გამოიცვალა და ეხლა ყველაფერში ევროპის პოლიტიკას დაემსგავსა“.

უეილერმა სამხრეთ-აფრიკის ომიც გაიხსენა და ინგლისის პოლიტიკა ძლიერ გაჰკიცხა. შეერთებულ შტატებსაც წილი უდევსო ამ უსამართლო ომშიო: ჩვენი მთავრობა დღემდე ნებას აძლევს ინგლისს, რომ ჩვენში სამხედრო სურსათი და ცხენები იყიდოსო. ორატორმა სინანული გამოსთქვა იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის ოჯახის წევრი ედუარდ VII-ს გვირგვინის კურთხევას დაესწრებაო. უეილერმა პრუსიის პრინც ჰენრიხის მოსვლაზედაც ილაპარაკა და სთქვა, რომ შეერთებულ შტატებშიაც მონური ქცევა შემოიღესო. რესპუბლიკამ თავისი სტუმრები ზრდილობიანად უნდა მიიღოს, მაგრამ ჩოქით სალმის მირთმევა და სტუმრების წინ ქედის მოდრეკა და მონური თაყვანისცემა კი რიგი არ არის და არც მოუხდება ჩვენისთანა თავისუფალ რესპუბლიკელებსაო.

ორატორს ჰკითხეს: იქნება ისიც არ მოგწონთ, რომ ვაშინგტონმა გენერალი ლაფაიეტი მიიღოო? უეილერმა უპასუხა: პირიქით, თავსაც მოვიწონებდი ლაფაიეტის სტუმრობითაო, რადგანაც ლაფაიეტი ამერიკელებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ეხმარებოდაო.

დემოკრატებმა გულ-წრფელად მოიწონეს უეილერის ლაპარაკი და ძლიერის ტაშის ცემითაც დააჯილდოვეს ორატორი.

საფრანგეთი. ამას წინად რადიკალების მეთაურმა ბრისონმა მოითხოვა პალატაში, რომ ფალუს კანონი გავაუქმოთო. ამ კანონით ყოველ მიმართულების კაცს სკოლებში მასწავლებლობის უფლება ჰქონდა, მიცემული, ეს უფლება ჰქონდა, რასაკვირველია კლერიკალებსაც, ამიტომ კლერიკალებს ძლიერ მოსწონდათ ეს კანონი. ბრისონის პასუხად პირველმა მინისტრმა ვალდეკ-რუსომ სთქვა: მთავრობაც თანხმაა ბრისონის წინადადებისაო, სენატმაც კი დაადგინა, რომ ფალუს კანონის გაუქმება სასარგებლო იქნებაო (ზოგი დეპუტატი ძლიერ აღელდა, ზოგი—ტაშს უკრავდა). პალატამაც 282 ხმით 239 წინააღმდეგ ბრისონის წინადადება მიიღო.

კლერიკალებსა და ნაციონალისტებს ჭკუაში არ მოუვიდათ პალატის დადგენილება. ამ მიმართულების გაზეთები გაბრაზებითა ჰლანძღავენ პალატის უმეტესობას და პირიდან სულ დორბლსა ჰყრიან

„ლიბრ პაროლ"-ი სწერს: „პალატა ამ საქმეში სწორედ რომ სამარცხვინოდ, საზიზღრად მოიქცა, მაგრამ პალატამ თანაც დიდი სისულელე ჩაიდინა. დეპუტატები ორიოდე კვირის შემდეგ ამომრჩევლებს უნდა წარუდგნენ და განა ჭკუა რომ ჰქონოდათ, ასე მოიქცეოდნენ. ძვირად დაუჯდებათ თავიანთი თავხედობა. სწავლების თავისუფლება დაიღუპა, აღარ არსებობს, ეს სულ იმ საძაგელი საზიზღარი ბრისონის ბრალია. ამ ვაჟბატონს ორიოდე კვირის შემდეგ ამომრჩევლები სულ კინწის კვრით გაჰგდებენ პალატიდან".

„გოლუა" ამბობს: „282 ხმით 239 წინააღმდეგ პალატამ სწავლების თავისუფლების უკანასკნელი სახსენებელიც გააქრო. უმეტესობა ვერა ჰხედავდა ფალუს ლიბერალური კანონის გაუქმებას. მაგრამ ბრისონმა ლაპარაკი დაიწყო, ნიშანი მისცა და ვალდეკ-რუსომაც თავი დახარა. რაკი ვალდეკ-რუსომ თავი მოიხარა, რადიკალებსა და სოციალისტებსაც, აბა, როგორ-და შეეძლოთ, რომ მუხლი არ მოეყარათ."

მელინის „რეპუბლიკ"-ი სწერს: „გუშინ პალატას ვერაფერი ხუმრობა მოუვიდა. პალატის გუშინდელ დადგენილებას სხვა სახელი არა დაერქმის-რა. პალატამ არც აცივა, არც აცხელა და სწავლების თავისუფლებას უცებ სული ამოჰხუთა. გუშინ გადასწყვიტეს, ამ თავისუფლებას ეხლავე ბოლო მოუღოთო. მეორე დღემდე რომ დაეცადათ, მეტის მეტად დაგვიანებოდა, რადგანაც ბრისონის წინადადების წინააღმდეგ ბევრ ცხადსა და უცილობელს საბუთს მოჰპოვებდნენ. ამისთანა წინადადების მიღება მარტო დაუფიქრებლივ, უკამათოდ შეიძლება. ეს საარჩევნო ხერხი იყო".

ზომიერი რესპუბლიკელების გაზეთებსაც, მაგალითად, „ტან"-ს, არ მოსწონებიათ პალატის დადგენილება. რადიკალებისა და სოციალისტების გაზეთები, სამაგიეროდ, აღტაცებით ლაპარაკობენ პალატის დადგენილებაზე.

ესპანია. ბარცელონაში მუშებმა ისევ საყოველთაო გაფიცვა მოახდინეს. მთავრობამაც სამხედრო წესები დააწესა ამ ქალაქში.

მადრიდიდან ამბავი მოვიდა, რომ ბარცელონაში ჯარები ჩააყენესო. ჯარსა და ხალხს ძლიერი შეტაკება მოუვიდათ: რამდენიმე კაცი მოჰკლეს და 30-მდე დასჭრეს. ბევრს სახლს ნატყვიარი ეტყობა. ხალხი უფრო და უფრო ღელდება. დიდი შიშიანობაა. მაღაზიები დაკეტილია, გაზეთები ვეღარ გამოდის. რკინის გზის მატარებლებს ხალხი ქვას უშენს. გაფიცულთა რიცხვი 40-მდე ადის.

ავსტრ-უნგრეთი. ტრიესტში მომხდარი არეულობის თაობაზე დეპუტატებს პარლამენტშიაც ჩამოუგდიათ ლაპარაკი. პირველად იტალიელმა დეპუტატებმა დაიწყეს ლაპარაკი. იტალიელებს სოციალ-დემოკრატებიც მიემხრნენ. დეპუტატები ბაზენი, მაზარანო და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატი პერნერ სტოროვერი აცხარებით გამოესარჩლნენ ტრიესტის მუშებს. პერნერ სტოროვერი ძლიერ ამტყუნებდა ტრიესტის გუბერნატორსა და ჯარის უფროსებს: უდანაშაულო ხალხი დახოცესო. ორატორმა მოითხოვა, რომ მოკლულთა ოჯახებს საზღაური მიეცესო. პირველმა მინისტრმა კერბერმა მეტად მოკლედ უპასუხა: რამწამს გამოძიება გათავდება, მაშინვე ყველაფერს, რასაც კი ამ საქმის შესახებ გამოძიება აღმოაჩენს, ყველაფერს უკლებლივ შევატყობინებ რეიხსრატსაო. იტალიელმა დეპუტატებმა და სოციალისტებმა მოითხოვეს, რომ დამნაშავე უფროსები სასტიკად დაისაჯნენო. კერბერის აზრით, არეულობა ტრიესტში ანარქისტების ჩაგონებით მოუხდენია ხალხსა.

ამავ საქმის თაობაზე „ბერლინერ ტაგებლატ"-ს სწერენ:

3 თებერვალს, შუადღისას ქალაქში რამდენიმე შავი ბაირაღი გაშალეს. ხალხმა მოითხოვა, რომ ამისთანა ბაირაღები ყველამ ყველამ გაშალოსო. რომელ სახლზედაც შავი ბაირაღი არ გაშალეს, ხალხმა ქვა დაუშინა და მუშები დაულეწა. ხალხსა და ჯარს რამდენჯერმე შეტაკება მოუვიდათ. პოლიციამ დიდ-ძალი ხალხი დააპატიმრა. მთავრობა და პოლიცია ძლიერ ეცადა ხალხის დამშვიდებას, მაგრამ ვერას გახდა. ნაშუადღევის 4 საათზე ხალხმა ორ მოედანზე ქვა დაუშინა იმ სახლების ფანჯრებს, სადაც შავი ბაირაღი არ გაშალეს; ხალხი ცალკე კიდევ გაზის ფანრებს ამტვრევდა და გაზს ანთებდა. ზოგიერთი სახლის ბანიდან ჯარს ფიცრებსა და კრამიტს ესროდნენ. ჯარი ვერას ხდებოდა მანიფესტანტებთან, ბოლოს თოფის სროლა დაუწყო ხალხსა: ერთბაშად 8 კაცი მოკლა და ბევრი დასჭრა. მაინც ხალხი არ დამშვიდდა, სანამ ლოიდს ამხანაგობამ სამედიატორო სასამართლოს რჩევით მუშების მოთხოვნილება არ შეასრულა.

ქალაქის საბჭომ და ქალაქის თავმაც ხალხის მხარე დაიჭირა. საბჭომ კრება მოახდინა და დაადგინა: „სამინისტროს პროტესტი გამოუცხადოთ, უდანაშაულო ხალხს ჯარმა რად ესროლა თოფიო". საბჭო სთხოვს აგრეთვე სამინისტროს, რომ ყველა დატუსაღებული დაუყოვნებლივ განთავისუფლოს პოლიციამაო.

✡ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში ინგლისზე სწერია: „სოციალური რეფორმების თაობაზე ამ ორ დასს არაფერი საერთო აღარა აქვთ რა". უნდა ეწეროს: სოციალურ რეფორმების თაობაზედ დიდი უთანხმოება მოსდით. ამ ორ დასს აღარაფერი და სხვ.

ახალი ამბავი

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი **ა. ს. ერმოლოვი** ამ წელს ზაფხულში ხანგრძლივ მოგზაურობას აპირებს კავკასიაში და შავი ზღვის ნაპირებზე.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ 20 21 თებერვალს ყველა სახალხო და საფოსტო მატარებელი დილით ტფილისიდან ბათუმს მიმავალი და ბათუმიდან მომავალი **გაჩერდნენ** შიო-მღვიმის მონასტრის ბაქანზე, სოფელ ძეგვის ქვემოდ, სადგურ მცხეთას და ქსანს შუა, რადგანაც ამ დღეს, მონასტრის დღესასწაულის გამო, დიდძალი მლოცავი იყრის ხოლმე თავს შიო-მღვიმის მონასტერში.

◆ პარასკევს, 17 თებერვალს, დანიშნულია **საზოგადო კრება** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა; კრებაზე განხილულ იქნება საზოგადოების მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამავე სხდომაზე წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად საზოგადოების 20 იანვრის სხდომის ოქმი გამოფენაში მონაწილეობის მიმღებთა სხვა-და-სხვა უმაღლეს ჯილდოებზე წარდგენის შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ წოდებათა დაწესებულებანი, როდესაც გლეხი, მოქალაქე ან ხელოსანი მიჰმართავს **პასპორტის გამოსაცვლელად,** არ უნდა სთხოვდენ იმათ ძველ პასპორტების წარდგენას, რადგანაც, ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარი დროებითი კომისიის განმარტებით, ის პირნი, ვისაცა სურს პასპორტი განაახლოს, არ არიან ვალდებულნი წარუდგინონ ძველი მოწმობები სათანადო წოდებრივ დადგენილებას, ხოლო უკანასკნელი, მიიღებს—რა თხოვნას მოწმობის გამოცვლის შესახებ, ახალ პასპორტს უგზავნის სათანადო პოლიციას მთხოვნელის ჩასაბარებლად. პოლიცია კი ვალდებულია, ჩააბაროს ახალი პასპორტი და ძველი ჩამოართვას.

◆ ზაქათალის ოლქის სოფელ ბელაქანიდან გვატყობინებენ, რომ 31 იანვარს, როგორც კავკასიის ზოგიერთ სხვა ადგილებში, აღნიშნულ სოფელსა და მის გარშემო სოფლებში საკმაოდ ძლიერი **მიწის ძვრა** ყოფილა. უბედურება არა მომხდარა-რა.

წელს სოფელ ბელაქანის მცხოვრებლებს ახლად შემოღებული სადგილ-მამულო გადასახადი 38,000 მან. შეხვედრიათ, რომელიც თითქმის სულ შეუკრებიათ და წარუდგენიათ ხაზინაში.

◆ ტფილისის **ოლქის სასამართლოს** სისხლის სამართლის სესია მომავალ მარტის თვის ოთხიდან თორმეტამდე ქ. გორში განიხილავს სულ 22 საქმეს.

◆ ამ დღეებში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, თანახმად საზოგადოების წევრთა 20 იანვრის არჩევნებისა, პეტერბურგის უნივერსიტეტსა და მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში კურს შესრულებული **პ. გ. ივანოვი** ტფილისის საბაღოსნო სკოლის უფროსის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგინა მიწად-მოქმედების სამინისტროს.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ ტელეგრაფით გადმოიტანა 30,000 მანეთი საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებაში ამ წელს **ფილოქსერასთან საბრძოლველად.** ამასთანავე აცნობა, რომ კრედიტი იხსნება ნახევარის წლით. კრედიტის გახსნისთანავე შეუძლიანთ ჯამაგირები მიიღონ საფილოქსერო ჯგუფების იმ პირთ, რომელთაც აქამდე არ მიუღიათ.

◆ რადგანაც ბორჩალოს მაზრაში საქონლის ჭირი გაჩნდა, გუბერნატორის განკარგულებით, აღკრძალულია დროებით იქიდან საქონლის მორეკა ტფილისის ბაზრებში.

◆ ზაქათალის ოლქის სოფელ ბელაქანში ამ სოფლის მცხოვრებს ისმაილ-ოღლი ისმაილოვს ეს 30 წელიწადია სავანგებოდ გამართული ჰქონია **მშვენიერი სანერგე.** მის სანერგეში მშვენიერის ჯიშის ვაშლისა, მსხალისა და სხვა ხეხილის ნერგები ყოფილა; მაგალ., იქაურ მსხალის ერთი ნაყოფი ანუ ვაშლისა იწონის 2-დან სამს გირვანქამდე, მშვენიერი გემოსაა და სძლებს დიდს ხანს. ისმაილოვს ამ დღეებში მრავალი ნერგი ჩამოუტანია ტფილისში და კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომის ეზოში ჰყიდის. სამი-ოთხი წლის ნამყენი ღირს 40—50 კაპეიკამდე.

◆ ტფილისის ბოტანიკური ბაღიდან **თეირანში გაგზავნეს** სხვა-და-სხვა ჯიშის ხეები შაჰის სასახლის ბოტანიკურს ბაღში მოსაშენებლად.

◆ მიწად მოქმედების სამინისტრომ გამოიწერა სამხრეთ იტალიიდან საუკეთესო ჯიშის **ზეთის ხილის ხეები,** რომლის მოშენებაც უნდა სცადონ ართვინის სახელმწიფო ზეთის ხილის სანერგეში, რათა გაავრცელონ ეს ხეხილი ბათუმის ოლქში.

◆ პირველ მარტიდან ბოტანიკური ბაღის მებაღეთა სკოლაში მუშებს **მიიღებენ.** ამ ჟამად სკოლაში 10 ვაკანსიაა, თუმცა მთხოვნელები ძალიან ბევრია.

ამ ჟამად ბოტანიკური ბაღიდან ურიგდებათ ხეხილების ნერგები სპეციალურ ხილის სანერგედან—მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც წარსულ შემოდგომაზე **შეუკვეთეს.**

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის და შენობათა უფროსმა დაავალა ნაწილის უფროსებს, რომ დროით შეუდგნენ ბაქოს გზის სადგურებზე კოშკების შეკეთებას და შეღებვას, რომლებიც ზაფხულში მოსამსახურეთა **ღამის თავშესაფარად** არის აშენებული. ეს კოშკები მზად უნდა იყოს პირველ მაისისთვის.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე განკარგულება მოახდინეს, რომ ყველა სადგურებზე, სადაც კი მატარებელი ჩერდება, პირველ და მეორე ლიანდაგზე, 2—3 **გადასასვლელი გზა** გააკეთონ სამგზავრო შენობის პირდაპირ მგზავრებისთვის.

◆ რომ სანოვაგეზე სწორე ნიხრი დაწესდეს, ამის შესახებ კითხვა აღიძრა გამგეობაში, რომ ქალაქის საბჭომ არ განიხილოს ხოლმე ეს ნიხრი, და მიენდოს **განსაკუთრებულს კომისიას,** რომელიც შეადგენს ნიხრს და პირდაპირ საგუბერნიო მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის გამგეობის ცნობებით, 11 თებერვალს ძალიან ცოტა საქონელი მოურეკიათ ქალაქის საქონლის სასაკლაოზე—სულ 30 სული, რის გამოც **ყასბებსა და ხორცის მყიდველებს** შორის ერთი აყალ-მაყალი ასტყდა.

◆ შაბათს, 9 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თავ. გიორგი ჩიჩუასი, რომელსაც ბრალად ედებოდა ქუთაისში, სათავად-აზნაურო კრებების დროს, გელაძის მოკვლის განზრახვა. ჩხუბის დროს საშიშად იყო დაჭრილი როგორც ჩიჩუა, აგრეთვე გელაძეც. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. ჩიჩუა და გარდაუწყვიტა ოთხი თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ თავ. ჩიჩუა უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა იგი.

◆ აღავერდი ბადალოვს იჯარით გაუკეთებია ზოგი შენობები გამოფენისათვის. მისაღები ჰქონია კიდევ 7000 მან.; ბადალოვმა გუშინ, 12 თებერვალს, მიჰმართა თხოვნით სამეურნეო საზოგადოების საბჭოს—კუთვნილი 7000 მან. გადამიხადეთო.

◆ მოგვივიდა ჟურნალ „**მოგზაური**" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსისა:

1) ამერიკის სიძველენი.—2) მთიულთ ცხოვრებიდან, ე. გუგუშვილისა.—3) ჰერეთის აღწერა, ინგილო ჯანაშვილისა.—4) ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი.—5) ქართული სიტყვიერების ისტორია, ბ. კ—ისა.—6) ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, თარგმანი ალ. ტატუნაშვილისა.—7) ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა.—8) სატირალი ანუ განსვენება, აფრ. მერკვილაძისა.—9) ქართველთ მოქცევა, ლ—ისა.

◆ მოგვივიდა ი. პ. როსტომაშვილის გამოცემა „**გამოსადეგი ცნობანი**" წიგნი მეორე, შემდეგის შინაარსისა:

პედაგოგია: 1) საზეპირო წიგნები და მათი მავნებლობა.—2) ბანქოს თამაში და მისი გამხრწნელი გავლენა საზოგადოებასა და ახალგაზრდობაზე, ტ. ართმელაძისა, მეურნეობა მრეწველობა:—3) ზამთრისა და გაზაფხულის პური.—4) მებაღეობის წარმატება ამერიკაში.—5) ღვინის ავადმყოფობანი, ა. დარეჯანიშვილისა.—6) ოქროს მადნები.—7) შინაურ საქონლის თვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა. ჯორის-ძუა. ჰიგიენა მკურნალობა:—8) ადამიანის კუნთები.—9) ადამიანის ტვინი და ნერვები,—10) პირისა და სახის გასინჯვა.

◆ გუშინ უკვე აღვნიშნეთ, როგორი უბედურება მოუვიდა ერთს მეეტლეს პოლიციის მე-9 ნაწილში, დიდის მთავრის ქუჩის მხრით. როგორც იქნა, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ნახეს გაგუდული მეეტლე და ცხენები და გამოიტანეს წყლიდან. მეეტლე ყოფილა 18 წლის ახალგაზდა კაცი, მიხეილ ალექსის ძე კოხიძე. უდროვოდ დაღუპულ მეეტლეს გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

◆ ტფილისის გუბერნიის რამდენსამე სოფელში გაჩენილა სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა.

ბორჩალოს მაზრაში: სოფ. ვარანცოვკაში გაჩენილა ხუნაგი; ავად გამხდარა 56 კაცი, მათ შორის 14 მორჩენილა, 37 გარდაცვლილა და 5-ც ავად არის. რადგანაც ავადმყოფთა შორის ბევრი ბავშვიც არის, ამიტომ დროებით ადგილობრივი სკოლა დაჰკეტეს.

სოფ. ნოვო-პოკროვკაში გაჩენილა ინფულენცა, რომლითაც გახდა ავად 5, მათ შორის ორი მორჩა, 1 გარდაიცვალა, ორიც ავად არის.

სოფ. აკარაკში ქუნთრუშით გამხდარა 4. მათ შორის ერთი მორჩენილა, 2 გარდაცვლილა, ერთიც ავად არის.

სოფ. [illegible]ისიხში მუცელათი 5 გამხდარა ავად, მათ შორის ერთი მორჩენილა, 2 გარდაცვლილა, ორიც ავად არის; ინფულენცით გამხდარა 14, მათ შორის 8 მორჩენილა, 2 გარდაცვლილა, 4 ისევ ავად არის.

გორის მაზრა: სოფ. დგვრისში გაჩენილა ყვავილი, რომლითაც ავად გამხდარა 14, მათ შორის 6 გარდაცვლილა, 6 მორჩენილა, ორიც ავად არის. სოფ. ქვემო აჩაბეთში გამხდარა ავად 22, მორჩენილა 10, გარდაცვლილა 7, ხუთი მორჩენაზე არის.

ქ. სიღნაღში გამხდარა ავად ხუნაგით—2 კაცი, მათ შორის ერთი გარდაცვლილა.

ქ. დუშეთში მუცელათი გამხდარა ავად 15, მათ შორის 11 მორჩენილა, ოთხიც მორჩენაზეა.

შემახის ამბები

შემახიდან სწერენ გაზეთ „კავკაზ"-ს: „აღშფოთებული და ატაცებული მცხოვრებნი შემახისა, აუწერელი უბედურების გამო ცოტ-ცოტა გონს მოდიან და ჰფიქრობენ თავიანთ ყოფა-ცხოვრების მოწყობას. საზოგადოდ გამტვერებული შემახის სურათი აუწერელია: სიტყვა არ მოიძებნება, რომ აღწეროს კაცმა ეს უშველებელი სასაფლაო, სადაც ერთის თვალის დახამხამებაში რამდენიმე ასი ცოცხალი ადამიანი დაიმარხა! სისხლი ეყინება, გონება ეხშობა ადამიანს, როდესაც ამ საზარელ მოვლენას დააკვირდება! ნანგრევთა ხროვები ათასი ნამტვრევ-ნამსხვრევით შეკრული ქუჩები, ეკკლესიები და მეჩეთები მიქცეულ-მოქცეულები, ზოგი დახეთქილ-დაბზარულები და გვერდზედ გადაბრეცილი გუმბათები... ხალხი მოდებულია ქუჩებში და მაღლობ ადგილებზე; აუშენებიათ ფანჩატურები, ქოხები, ზედ გადაუფარებიათ, რაც მოხვედრიათ და მოკუნტულ-მოკრუნჩხულები ერთმანეთს ეკვრებიან ამ სიცივეში. გლეხთა ქოხები და მდიდართა სასახლეები მიწასთან გასწორებულია ულმობელი ბუნების ხელით. სულ ყველაფერი დაჰკარგეს, მთელი ქონება, მთელი ავლა-დიდება და უმეტესმა ნაწილმაც—ყველა ნათესავები და თავისიანები.

7 თებერვლამდის ნანგრევების გათხრა ბაზარში და ქარვასლებში შეუძლებელი იყო,

რადგანაც სამანუფაქტურო მაღაზიებს და დუქნებს ცეცხლი ეკიდა, აუარებელი ფართალი, ჩითეულობა, ფარჩეულობა და სხვა მრავალი ძვირფასი საქონელი იწოდა. ბოლოს და ბოლოს წინწკლა დაიწყო, შემდეგ ჯანყი მოედო არე მარეს და ბოლოს თოვლიც მოვიდა; ამან გაანელა ცეცხლი და საშუალება მისცა ნანგრევების გათხრისა.

8 თებერვალს მოლების ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ დაღუპულთა რიცხვი, რომლებიც ნანგრევებიდან ამოთხარეს და დამარხეს, უდრის ორი ათას ოთხასს. ხოლო ყველა დაღუპულთა რიცხვი ბევრით აღემატება 5,000 ადამიანს. 7 თებერვალს მოლებმა განუცხადეს მთავრობას, რომ დაღუპულებს აღარ დამარხავენ, რადგანაც იმათი საღმრთო კანონით მხოლოდ შვიდ დღემდის შეიძლება დახოცილთა დამარხვა. მერვე დღეს კი დახოცილთა სამარედ უნდა იყოს ის ადგილი, სადაც დაიღუპნენ. ამ განცხადების გამო განკარგულება მოახდინეს, რომ ამოთხრილი გვამები იქვე დაასაფლავონ, სადაც იპოვნეს, მხოლოდ დუღაბით უნდა შეჰკრან ეს ადგილები. მუშა ხელი ძალიან ცოტაა. ქალაქი (მაგრამ სადღაა ქალაქი?) თან-და-თან ცარიელდება. ყველანი ბაქოსკენ მიეშურებიან. თითქმის განუწყვეტლივ, გაბმული ჯაჭვივით მიდიან ურმები, ფურგუნები, ცხენები, ხარები, სახედრები, აქლემები—ყველა ეს დატვირთულები საოჯახო ნივთებით და მოწყობილობით, რაც კი გადარჩა შთანთქავ სტიქიონს.

ასე აჩქარებით მიდის ხალხი ქალაქიდან, გარდა იმისა, რომ ფიქრობენ, ვაი თუ უბედურება განმეორდესო, კიდევ იმის შიშით, რომ ცარცვა-გაქურდვა ვრცელდება. გაქურდეს გენჯუნცევის და კრავჩინსკის სახლები (ორივე ძალიან შეძლებულია). ვინც მაჰმადიანი დარაჯები იყვნენ, ბევრნი წავიდნენ ქალაქიდან, რადგანაც თავისიანები სულ დაკარგეს; ქუჩებში დაყენებულია ჯოხებით რამდენიმე მოლოკანი. 7 თებერვალს გეოქჩაიდან მოვიდა რამდენიმე რუსის ცხენოსანი დარაჯი, რომლებიც ბაზრის ქუჩაზე დააყენეს.

—

„კავკაზ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ შემახის მიწის ძვრის გამოსაკვლევად ჰგზავნიან სამთო ინჟენერს ვ. ნ. ვებერს, რომელსაც ტფილისელები იცნობენ, როგორც ახალქალაქის მიწის ძვრის გამომკვლეველს 1900 წელს.

რუსეთის ქრონიკა

∝ გზათა სამინისტროში აღძრულია ამჟამად საკითხი იმის შესახებ, რომ რკინის გზებზე უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულთ და დაშავებულთ ან მოკლულთა ოჯახს უთუოდ პენსია ენიშნებოდეს, ხოლო ერთ-დროებრივი შემწეობა მოისპოს.

∝ მაისში ოდესაში მოხდება რუსეთის რკინის გზების ექიმების საყოველთაო კრება.

∝ პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ პეტერბურგში ყირიმიდან დაბრუნებულა გრაფი ლ. ლ. ტოლსტოი და ამბავი ჩამოუტანია, რომ მამა მისი ლ. ნ. ტოლსტოი შესამჩნევად უკედ არის; ანთებამ გაუარა და საშიში აღარაფერი მოელისო.

∝ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, გადაწყვეტილია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე მომავალ ზაფხულის დამდეგს ესტუმრება რუსეთს. პეტერბურგის საქალაქო მმართველობა აპირებს მის ღირსეულად მიღებისათვის მზადებას ეხლავ შეუდგეს.

∝ „მოსკოვ. ვედომ.“-ს სიტყვით, 7 თებერვალს, მოსკოვის ოლქის სასამართლოში გაირჩა შემდეგი საქმე: შარშან, 12 იანვარს, ღამით, მოსკოვის ცვეტნოი ბულვარზე მიდიოდა თავ. ალ. ნაკაშიძე რამდენიმე ამხანაგით. უეცრად მოესმათ ქალის კივილ-წივილი. თავ. ნაკაშიძე დაბრუნებულა და შეუმჩნევია, რომ პოლიციელი ვიღაც ქალს სცემდა; მივარდნილა, პოლიციელი დაუშოშმინებია და ისევ წასულა წინ მიმავალ ამხანაგების დასაწევად. ამ დროს კვლავ გაუგონია ქალის კივილი; დაბრუნებულა და მიშველებია ქალს. პოლიციელს (სმირნოვს) დაუძახნია მეეზოესათვის (გოლუბევ), ქალი უკანასკნელისათვის გადაუკია, თვითონ-კი მივარდნია თავ. ნაკაშიძეს და ცემა დაუწყია; ასე ცემით მიუყვანია საბოქაულო ნაწილში; იქ ოქმი შეუდგენიათ და თავ. ნაკაშიძე დაუმწყვდევიათ. მეორე დღეს თავ. ნაკაშიძეს განუცხადებია: პოლიციელმა და მეეზოემ კამერაშიაც მცემესო. სამართალში მისცეს საპყრობილეს ზედამხედველი ურბანოვიჩი, ფელდშერი ლეონოვი, რომელმაც ტყუილი ჩვენება მისცა გამომძიებელს, ვითომ თავ. ნაკაშიძე მთვრალი იყო, პოლიციელი და მეეზოე. სასამართლომ ზედამხედველი გაამართლა, ხოლო ლეონოვს სასტიკი შენიშვნა მისცა, პოლიციელს სმირნოვს ერთი თვით დაპატიმრება მიუსაჯა, ხოლო მეეზოეს გოლუბევს—ორის კვირით.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ჩვენის საბჭოს სხდომების ამბავი ბოლოს დროს სწორედ კომიკურს მიმართულებას იღებს. არ იქნა და არ ხერხდება ხმოსნების „კანონიერ რიცხვის“ მობრძანება. როგორც კვალად, ისე ორშაბათსაც ვერ შესდგა სხდომა, მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობა ბევრს ეცადა.

საღამოს 8 საათია. გამგეობის კაბინეთში დაღვრემილი სხედან ქალაქის თავის მოადგილე ბ. შისტაკოვი და გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი. ხმოსნების ჭაჭანებაც არ არის. უეცრად გაისმის ტელეფონის ზარი. ეს გახლავთ გამგეობის წევრი ბ. ენფიანჯიანცი. თურმე წამოსვლა დასზარებია და ამხანაგებს ატყობინებს: თუ „კანონიერი რიცხვის“ შესადგენად ოცდა მეშვიდე წევრი დაგაკლდესთ, გამომიძახეთ და მოვალ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუ შემაწუხებთ... ვგონებთ, კომენტარიები არ ესაჭიროება ასეთ განცხადებას.

გადის რამდენიმე წუთი და კარებს შემოაღებს ხმ. ირიცპუხოვი.

— ოჰ, რა ადრე მოვსულვარ! იხუნჯობს ხმოსანი და მიუჯდება გამგეობის დაღვრემილ მოხელეთ... ცხრა საათამდე შეგროვდა, ასე ნელ-ნელა, ოცამდის ხმოსანი. გამგეობა, ზოგიერთ ხმოსანთა დახმარებით, იწყებს ამ შემთხვევაში ჩვეულებრივს მეცადინეობას: ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში იგზავნება სხვა-და-ბხვა მსახური, ხოლო ტელეფონი განუწყვეტლივ მუშაობს. ხუმრობა საქმეა: 6—7 ხმოსანი აკლია და მათ მოგროვებისათვის დიდი ენერგია უნდა დაიხარჯოს.

ამასობაში „ადრე“ მოსულ ხმოსნებს მოთმინება დაეკარგათ: „რასა ჰგავს ეს?! ჩვენ რა ვირის მომდენები ვართ, რომ აქ მთელი საღამო ვიცადოთ!“ წაავლეს ქუდებს ხელი და გარბიან. დანარჩენებმა ტელეფონს თავი მიანებეს და გამოუდგნენ პროტესტანტებს. დიდის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იქმნა, უკანვე დააბრუნეს. დარბაზში მათი შემოსვლა სწორედ სულზე მოსწრება იყო: ის იყო ბ. შესტაკოვმა ჯაჭვი ჩამოიკიდა და სხდომის გადადება უნდოდა..

ეცნენ ისევ ტელეფონს. სხვათა შორის ბ. ენფიანჯიანციც შეაწუხეს და მოაბრძანეს, თუმცა ოცდა-შვიდს ჯერ კიდევ რამდენიმე აკლდა... სწორედ 9½ იყო, როდესაც 26 ხმოსანი შეაგროვეს. „ლიბერალ[illegible]“ ხმოსნებს სახე გაუბრწყინდათ: სულ ტყუილს ამბობენო, ვითომც ახლანდელ „მამებს“ ინდიფერენტიზმმა სძლია; ხედავთ, რამდენი მოვიდათ!..

მაგრამ დახე უბედურებას: სწორედ ოცდა-მეშვიდე ხმოსანმა გაუცრუა იმედი „ლიბერალებს“! არ იქმნა და ეს ოცდა-მეშვიდე ვაჟ-ბატონი ვერსად იპოვნეს. დაქანცული მსახურნი დაბრუნდნენ და გამოაცხადეს: მოგვკალით აქვე, წასვლა კი აღარ შეგვიძლია. ტელეფონის ცენტრალური სადგური დაიღალა და ხმას აღარ იღებდა პასუხის გასაცემად... პროტესტანტების რიცხვმა იმატა და გაფითრებული შესტაკოვი, 10 საათი იქმნებოდა აბრძანდა კათედრაზე. სხდომა გადიდო. იგრიალეს ხმოსნება და სიხარულით მოჰკურცხლეს. შესავალში მათ შეეფეთა ხმ. ვეტცელი, რომელსაც გაეგო—ოცდა-მეშვიდე ვარ და აბა საქმეს უშველოვო. მაგრამ ამას ვინღა შეხედა: ჰკრეს მუჯლუგუნი „ლუდის მეფეს“ და თავს უშველეს...

ასეთი ამბავი მოხდა ორშაბათს; ასეთივე ამბავი მოხდა წინადაც; ასეთი ამბავი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ახლა ქალაქელს ის-ღა აკვირვებს, თუ სხდომა მოხდა!..

ხუმრობა გაშვებით და ერთი გვითხარით: ექმნება ბოლო, „მამებო“, ამ თქვენს მასხრობას, თუ არა?

პრესსა

მკითხველებმა იციან დეპეშებიდან, რომ 10 თებერვალს მოსკოვში დაიწყო რუსეთის მევენახეთა კრება, რომელზე დასასწრებლად ჩვენებური მევენახე-მემამულეებიც წავიდნენ. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან განსახილველად წარედგინა ბევრი საყურადღებო საკითხი. განსაკუთრებული მნიშვნელობა კრებას ჩვენი ქვეყნისათვის აქვს, რადგან ეს დარგი მეურნეობისა პირველია ჩვენს ქვეყანაში. „ნოვ. ვრ.“ სიამოვნებით ეგებება გახსნილ კრებას და, სხვათა შორის, შემდეგ საინტერესო ცნობებსა და მოსაზრებას გვაწვდის:

> მევენახეობა წარმოადგენს ნამდვილს სიმდიდრეს, ამის დამამტკიცებელია საფრანგეთი, სადაც წელიწადში 400 მილიონ ვედრაზე მეტი ღვინო მოჰყავთ, რისგანაც ხალხს რჩება 800 მილ. მან.. რუსეთში მევენახეობას ხელს უწყობს ბევრი გარემოება: ბევრი ადგილი გამოსადეგია ვენახის გაშენებისათვის, ბევრი კარგი ჯიშის ვენახი გვაქვს და სხვა. მიუხედავად ამისა, რუსეთში ღვინის მოსავალი ნაკლებია. სავენახე ადგილების მიხედვით რუსეთს მეორე ადგილი უჭირავს ევროპაში, ღვინის წარმოებით-კი—მეშვიდე. უკანასკნელ დროს ბულგარიასა და სერბიას დაუყენებია 35 მილ. ვედრა ღვინო. რუსეთს-კი 40 მილ. თუმცა მარტო კავკასიის ვენახების სივრცე ბევრად აღემატება სერბია-ბულგარიის ვენახებისას.
>
> ცხადია, ასეთი გარემოება სრულიად ანორმალურია, ცხადია, ეს ფაქტები ნათლად ამტკიცებენ, რომ ჩვენს მევენახეობასა და მეღვინეობას რაღაც ანორმალური მიზეზები აფერხებენ. სწორედ ამ მიზეზების გამორკვევას უნდა შეუდგეს მოსკოვის კრება.

შემდეგ ავტორი გაკვრით ეხება მიზეზებსა და უმთავრეს შემაფერხებელ გარემოებად აღიარებს—ღვინის გაყიდვის საქმის, ღვინის ბაზრის, მოუწყობლობას.

> სხვათა შორის, კრებას განსახილველად აქვს დანიშნული ღვინის გაყიდვის საქმის გამორკვევა. ეს გარემოება გვეუბნება, რომ მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც შეადგინა კრების პროგრამა, შეგნებული აქვს, თუ რა უმთავრესი მიზეზი აბრკოლებს ჩვენს მეღვინეობას.
>
> დროა მივხვდეთ, რომ რომელისამე დარგის წარმოების გაფართოება სრულიად დამოკიდებულია ბაზარზე: თუ ნაწარმოებს კარგი გასავალი აქვს, წარმოება უთუოდ გადიდდება. ჩვენ გვიკვირს საფრანგეთის მევენახეობა-მეღვინეობის საოცარი ზრდა, მხოლოდ იმას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, როგორ შესანიშნავად მოაწყვეს ფრანგებმა ღვინის გასაღების საქმე. დროა მივხვდეთ, რომ მევენახეს არც საშუალება ექნება, არც სურვილი გააფართოვოს წარმოება, თუ-კი დარწმუნებული არ არის, რომ მოსავალს ბაზარს უშოვის. სწორედ აქ, ღვინის გასაყიდვის ანორმალურ საქმეშია თავი და თავი მიზეზი წარმოების შევიწროებისა; თუ ეს საქმე მოეწყო, ჩვენს მევენახეობა-მეღვინეობას ველარაფერი შეაფერხებს და წარმოება აღყვავდება. თუ კრებამ ამ საკითხს მიაქცია უმთავრესი ყურადღება, თუ ამ სნეულებას გამოუძებნა შესაფერისი წამალი, ჩვენ მევენახე-მეღვინეთა საქმე გაკეთდება.

უეჭველია, ღვინის გაყიდვის საქმეს, ბაზარს, დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებისათვის, მაგრამ წერილის ავტორი, ცოტა არ იყოს, აზვიადებს ამ მხარეს და უყურადღებოდ სტოვებს სხვა მთავარ გარემოებათ. მაგალითად, ღვინის დაყენების ტეხნიკას, ვენახის მოვლა-მოშენების საქმესაც თვალსაჩინო ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრით სამწუხარო არ არის თუნდაც ის ფაქტი, რომ კავკასიაში დღემდის ერთი სპეციალური სასწავლებელი არ არის მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად?! შემდეგ არა ნაკლების ყურადღების ღირსია: ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობასთან ბრძოლა, მევენახეთათვის კრედიტის გაიაფება, სეტყვასთან ბრძოლა, ფალსიფიკაციის წინააღმდეგობა და სხვა მწვავე საკითხები, რომელთათვის ავტორს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

წერილი თელავიდან

(მ. ვოსტორგოვის რევიზია.—ვოსტორგოვის აზრი სამრევლო სკოლის პროგრამის შესახებ.)

25 იანვარს მ. ვოსტორგოვმა დაასრულა სკოლების რევიზია კახეთში. ამ დღეს საღამოს მან დანიშნა სხდომა; მოიწვია ყველა წევრი სასწავლებლის საბჭოს განყოფილებისა და აგრეთვე რამდენიმე მღვდელი. მ. ვოსტორგოვმა ყველა ნახულ სკოლების შესახებ ილაპარაკა; საზოგადოდ ის მეტად ნასიამოვნები იყო სკოლების მდგომარეობით. განსაკუთრებით მისი ყურადღება მიექციათ აწყურის სკოლის მასწავლებელ ქალს თ. სვიმონოვს და თელავის ფერისცვალების ეკლესიის სკოლის მასწავლებელს ქ. ზარაიოვს, როგორც დახელოვნებულ მასწავლებელთ. სხვათა შორის, მ. ვოსტორგოვმა სთქვა: „მეტად სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ყოველ ჩემს სკოლაში სწავლობდნენ უმეტეს ნაწილად ქალები, რადგანაც მათი ცდა და მუყაითობა ყველასთვის აშკარა. ისინი სკოლაში კარგადაც სწავლობენ, ბევრს ხანსაც რჩებიან, ასე რომ სკოლიდან მათ უფრო მეტი ცოდნა გააქვთ, ვიდრე ვაჟებს; ამასთან ქალებს ცხოვრებაში მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ოჯახისათვის, ვიდრე ვაჟებს, რადგანაც კაცი, როგორც მამა, მოქმედებს ოჯახის გარეთ“.

სხდომაზე ლაპარაკი ჩამოვარდა აწყურის სკოლის შესახებ. გამოითქვა სურვილი, რომ ის მეორე-კლასიან სკოლად გადაკეთდეს, მით უმეტეს, რომ ამ ტიპის სკოლა კახეთში ჯერ არ არის. დამსწრეთ სთხოვეს დეკ. ვოსტორგოვს დახმარება საბჭოსთან, რაზედაც ვოსტორგოვი დაჰპირდა ცდას; თუ ეს მართლა მოხერხდა, ბედი ეწევა კახელებსაც. ჩვენი გლეხ-კაცი ისე არის გადარიბებული, რომ არ შეუძლიან თელავში მისცეს შვილი რომელსამე სასწავლებელში; მაშინ კი შეიძლება შესძლოს ცოტა ხარჯი და როგორმე გაათავებინოს მეორე-კლასიანი სკოლა, რომლის შემდეგაც ბავშვებს შეუძლიანთ სახელმწიფო ხარჯზე შევიდნენ სამასწავლებლო სემინარიაში. მანამ ეს მოხდება, დეკ. ვოსტორგოვმა გამოსთქვა აზრი: აწყურის სკოლა იწოდებოდეს ერთკლასიანად; გაუქმდეს სამეურნეო განყოფილება, რაზედაც მისი გამოანგარიშებით სასწავლებლის საბჭომ დახარჯა სამას-თუმანზე მეტი და სარგებლობა კი კაპეიკისაც არ მოუცია არ სკოლისათვის და არც მოწაფეებისათვის; აგრეთვე, რომ ამ ერთ-კლასიან სკოლაში იყოს გამართული ქალებისათვის და ვაჟებისათვის ცალკე განყოფილებები, ასე რომ ერთი სკოლის შენობაში იქნება მოთავსებული ორი სკოლა: ქალებისა და ვაჟებისა თავ-თავის განყოფილებებით, სადაც ასწავლიან ორ-ოდი მასწავლებელი: ქალებისაში,—ქალები და ვაჟებისაში—ვაჟები. თელავის ღვთისმშობლის ტაძრის სკოლების შესახებ სთქვა, რომ სასურველია კვლავ კიდევ მოემატოს ერთი სკოლათ (ახლა სამია).

ბოლოს შეეხო მეტად საინტერესო საგანს: თუ როგორ და რას უნდა ასწავლიდნენ სამრევლო სკოლებში. სამღვთო სჯულის სწავლის შესახებ სთქვა, რომ პირველ წელს სუყველაფერი ქართულად უნდა იყოსო; მეორე წელიწადს აგრეთვე ქართულად, მხოლოდ ცოტა რთულად, ზოგიერთა ადვილი ლოცვები რუსულადაც უნდა იცოდნენო, ამასთან საჭიროა, რომ მასწავლებელმა მხოლოდ კითხვებით შეასწავლოს ზოგიერთი ისტორია სურათების დახმარებით; მესამე წელს ქართულად კიდევ რთულად და რუსულად ის, რაც ბავშვებმა პირველ წელს ისწავლეს თვის დედა-ენაზეო; რაც შეეხება მეოთხე წელს, აქ კი მომეტებულად რუსულადაო. რაც შეეხება რუსული წერა-კითხვის სწავლას, მან სთქვა, რომ საჭიროა დაწყებისათანავე მასწავლებელმა იწყოს შესწავლა ლექსიური განყოფილებისა; მხოლოდ რუსულად წერა-კითხვას მაშინ შეუდგეს მასწავლებელი, როდესაც სრულებით შეისწავლიან ბავშვები თვით დედა-ენაზე წერა-კითხვას. დეკ. ვოსტორგოვმა ამასთან სთქვა: მე არავის ძალას არ გატან, რომ უეჭველად წლის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ რუსულად ანბანის სწავლებასაო; პირიქით, ვსთხოვ ყველა ჩემ მასწავლებელთ, რომ მათ არასდროს არ დააშურონ სწავლება რუსული ანბანისა, თუ ჯერ არ გაუთავებიათ დედა-ენაზე; მე ცოდვათ არავის არ ჩავუთვლი,—სთქვა ვოსტორგოვმა,—რომ მასწავლებელმა რაიმე მიზეზის გამო ვერ მოასწრო ანბანის სწავლება დედა-ენაზე იანვრამდის, შეუძლია მას ასწავლოს თუნდ მარტამდის და მხოლოდ მის შემდეგ შეუდგეს რუსულ ანბანის სწავლებასაო. ბოლოს დეკანოზმა ვოსტორგოვმა დასძინა: ნუ დაუჯერებთ იმ პირთ, რომელნიც მიწერდნენ გაზეთებში, ვითომ მე ქართული ენის წინააღმდეგი ვიყვე, ეს სიმართლეს მოკლებულიაო. ასე სთქვა, ხოლო მომავალი რას გვეტყვის, ვნახოთ...

P. S. თელავის მაზრის სამრევლო სკოლები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, რაც აიხსნება მათის ნივთიერ უქონლობით; იშვიათ სკოლას ჰყავს თავისი საკუთარი მასწავლებელი და მიტოვებულია მედავითნეების ანაბარად! მიაქცია რა ამას ყურადღება მ. ვოსტორგოვმა, შეპირდა განყოფილების საბჭოსას იშუამდგომლოს ტფილისის საბჭოს წინაშე, რომ მისი ხარჯით დაენიშნოს ყველა არსებულ სკოლას საკუთარი მასწავლებელი. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნება თელავის მაზრის სკოლებმაც მიაღწიონ თავის ჯეროვან მიზანს ხალხის სიბნელიდან გამოყვანისა.

ნ. მერელი.

წერილი ძველი გავაზიდან

(გვალვა.—ტყის შეკვრა.—მიწად მფლობელობის ამბავი).

გადის ზამთარი და თოვლი კი თვალით არ გვინახავს. გვალვიანი ზამთარი სიიმედოს არას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეუბნება. შიშით და გულის კანკალით შევყურებთ მომავალ მოსავალს. მინდორში თაგვი ჩნდება და ვენახ-ხეხილი უდროვოდ გაფურჩნას ლამობს. დამის ვენახები შეუსრავი და შეუმუშავებელი დაგვირჩეს, რადგან უმაღლესად ნაბოძები უფასო ტყე (სასრეთ და სამორეთ) ტფილისის გუბ. სახელმწიფო ქონებათა მმართველის განკარგულებით წრეულ აღვეკრძალა. რამ გამოიწვია ამგვარი განკარგულება სახელმწიფო ქონებათა მმართველისა, ჩვენთვის გაუგებარია დღემდის, მით უმეტესად, რომ ეს განკარგულება ეხება მხოლოდ ჩვენს საზოგადოებას და სხვა სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებანი აქეთ, ჩვეულებრივ, სარგებლობენ უფასო ტყით! ამის თაობაზე თვე-ნახევარია, რაც ადგილობრივმა მამასახლისმა თხოვნა გაგზავნა გუბერნატორთან, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოგვსვლია. უეჭველია, თუ წლეულ ესე უტყეოდ დავრჩით, ჩვენი გლეხ-კაცობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, რადგან ერთად-ერთი ნუგეში და ავლადიდება აქაური გლეხკაცისა,—ვენახი—შეუსრავი და შეუმუშავებელი დარჩება და ადვილი წარმოსადგენია, რამდენად გაუძნელდება ჩვენს საზოგადოებას სახელმწიფო თუ სხვა გადასახადთა გადახდა.

ამას წინად თელავის მაზრის სახელმწიფო მამულების ზედამხედველმა ბ. პატიომკინმა და ადგილობრივმა ტყის მცველმა ბ. ქაჯაროვმა მიიწვიეს ჩვენს სოფლის კანცელარიაში აქაური თავად-აზნაურნი იმის გასაგებათ, თუ რა საბუთებით სარგებლობენ უკანასკნელნი ადგილ-მამულით ს. ძველ-გავაზის დაბაში და თან ურჩევდნენ მოწვეულთ ხელ-წერილი მიეცათ მათთვის, რომ ისინი (თავად-აზნაურნი) დგანან და ფლობენ სახელმწიფო ადგილებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, არწმუნებდნენ ისინი მოწვეულ თავად-აზნაურთ, ხაზინა დავას დაგიწყებთ, ჩამოგართმევთ მაგ ადგილებს და დიდ ჯარიმასაც დაგაკისრებთო.

ამ განცხადებამ ძლიერ განაცვიფრა და შეაშფოთა ჩვენი თავად აზნაურნი, მით უმეტეს, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ წარუდგინა ხაზინის წარმომადგენელთ წერილობითი საბუთი. არც საკვირველია ეს, თუ მხედველობაში მივიღებთ მათს ვინაობას და მათი აქ დასახლების მოკლე ისტორიას. ეს ს. ძველი-გავაზი (ახალ-სოფელი) დაარსდა ორმოცდა-ათი წლის წინათ მთავრობის სურვილით ს. გავაზის ნანგრევებზე; უწინდელი მცხოვრებნი აიძულა ლეკთა განუწყვეტელმა თავსდასხმამ გადასახლებულიყვნენ ალაზნის პირას. რადგან ეს ადგილი ძლიან დაახლოვებული პუნქტი იყო დაღესტანთან და მოკლე გზა დაღისტნიდან კახეთზე ამ ადგილზე ჩამოდიოდა, ამიტომ მთავრობამ ლეკთა აგაზაკურ სურვილის შესამოკლებლად შემოავლო მესერი ამ ადგილს და ჩააყენა შიგ ცხენოსანი და ფეხით მოსიარულე ჯარი; შემდეგ გადაწყვიტა სოფლის დაარსება და იღებდა ყველა მსურველ გლეხ-კაცს, ვისაც არ აშინებდა ლეკთა ახლო მეზობლობა. რასაკვირველია, ამისთანა საშიშ ადგილს სახლდებოდა მხოლოდ გულადი—ბრძოლაში გამოცდილნი ვაჟკაცნი და უმთავრესად ქართველ დრუჟინის მილიციონერები. საჭირო იყო ამათთან ვაჟკაც მეკომურთათვის, გულადნი და გამოცდილნი წინამძღოლნი—ბელადნი. და აი მთავარ-მართებლის თ. ვორანცოვის განკარგულებით, აქ დასახლდნენ სახელ-განთქმულნი დრუჟინის სახელოვანი ათეცრები: თ. ალექსანდრე აფხაზი, აზ. ივანე ბაქრაძე, დავით ყიფიანი, მარგველაძე და სხ., რიცხვით ათი კომლი. ორმოცი წელი მეტი მოსახლეობენ ესენი ამ სოფელში, ორმოცი წელი მეტი სწევს მძიმე უღელი სამშობლოს მეუღროებისა და კეთილ დღეობისათვის და ამიტომაც არც საკვირველია, თუ ხაზინის წარმომადგენელთა წინადადებამ მეტად აალელვა ოთხმოცი წლის მოხუცი „სახელ-განთქმული მამაცი, უშიშარი და უძლეველი ივანე ბაქრაძე“, ის ივანე ბაქრაძე „რომელიც ერთი შეხტომით, კატის სიმარდით ფახალის მრისხანე ციხის მეორე სართულში გაჩნდა ერთ წამს და მაღლა დროშა აატრიალა“ *).

მიხაკო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშითა სააგენტოსაგან“)

11 თებერვალი

პეტერბურგი. 11 თებერვალს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის დარბაზში მოხდა მეთევზეობის და თევზის მოშენების საერთა-შორისო კონგრესის სხდომა. ატყვა წარმოსთქვეს: თავმჯდომარემ ვემნიაკოვმა, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ერმოლოვმა და უცხოელმა დელეგატებმა. სხდომას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრნი. კონგრესის წევრები—300, მათ შორის 70 უცხოელი.

11 თებერვალს, დილით, ბუხარის ემირი ამალით და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანხლებით სანახავად იყო სამხედრო მინისტრთან და მთავარი შტაბის უფროსთან. 3 საათზე ემირი ამალით წარსდგა მათ უდიდებულესობათა წინაშე; ემირმა ძვირფასი საჩუქრები მიართვა; ამ მიღებას დაესწრო თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი. 5 საათზე ემირი ამალით გარეშე საქმეთა მინისტრთან იყო.

პრეტორია. დამით, 6 თებერვალს, 300 ბური დაეცა ფრანკფურტ-ფრედეს სიმაგრეებს; ბურებს სხვა რაზმიც შველოდა, რომელიც სამხრეთიდან მოვიდა; ეკლიანი მავთულის ღობე გაანგრიეს, საქონელი გაირეკეს და შეცვივდნენ სიმაგრეებში, საიდანაც საშინელი სროლა ასტეხეს ინგლისელებმა. რამდენიმე ბური მოჰკლეს; ხმათი გვამები მტერმა თან წაიღო.

დევეტი ეხლა მდინარე ვილგესთან დგას; იმისი ჯარი პატარ-პატარა რაზმებად დაიყო.

ნიუ-იორკი. პრინც ჰენრიხის მოსვლის დროს ამერიკის გემებზე სტვენა ასტეხეს; ზარბაზნები დასცალეს. საკარანტინო სადგურთან ევანსი შტაბითურთ მიესალმა პრინც ჰენრიხს გემ „კრონპრინც ვილჰელმ“-ზე, რის შემდეგაც ყველანი კაპიტნის ბინაზე ავიდნენ. ამ დროს „კრონპრინცი ვილჰელმი“ შევიდა ჰუძონის სრუტეში, სადაც აღტაცებულის ყიჟინ-ხივილით დახვდა ნაპირზე თავ-მოყრილი ხალხი; პრინცი ჰენრიხი გადაჯდა იახტა „ჰოჰენცოლერნზე“, სადაც მიიღო გოლებენი და წარმომადგენელი პრეზიდენტისა და ამერიკის ჯარებისა.

„ასსოსიეტ. პრეს.“-ში მოყვანილია კაპიტან მიულერთან საუბარი, რომელიც პრინც ჰენრიხის ადიუტანტად იყო აღმოსავლეთ-აზიაში. დევეის შემთხვევის შესახებ, მიულერის სიტყვით, პრინცი დაეთანხმა დევეის იმაზე, რომ, როდესაც წარმოსთქვეს სადღეგრძელოები მეფეთა და სახელმწიფოების მმართველთა, რომელთა წარმომადგენელნი გონკონგში დაესწრნენ, შეერთებული შტატების პრეზიდენტი უფრო ადრე უნდა მოეხსენებინა, ვიდრე სხვა მეფეები, რადგანაც დევეი სტუმართა შორის ყველაზე უხნესი იყო. დევეიმ მადლობა გადაუხადა პრინცს ამ სიტყვებისთვის და დასძინა, რომ იმას ყოველთვის უყვარდა პრინცი და ახლა უფრო მეტად უყვარს. მიულერი დასძენს, რომ პრინცს აზრადა აქვს ხელი შეუწყოს გერმანიის და ამერიკის მეგობრობას, რომელსაც საფუძვლად აქვს ურთიერთის პატივის ცემა.

ვარშავა. ვაჭრები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებათათვის სამწერლო მასალას ამზადებენ, შუამდგომლობენ, რომ ნება მიეცეთ, გერმანელთა ნაწარმოები შესცვალონ ადგილობრივის ნაწარმოებით.

ირბიტი. ტობოლის გუბერნიის ჩრდილოეთ მაზრების ვაჭრები ნახევრად ნაკლებს ყიდულობენ, ვიდრე წარსულ წელს.

სამარა. კომერციის სოვეტნიკი პლეშანოვი სწირავს ქალაქს 120,000 მან., რათა ნება მისცენ იმას თავის ხარჯით ააშენოს ბარაკი ქალაქის საავადმყოფოსთან.

10 თებერვალს ლოთობის წინააღმდეგმა ქალაქის სამზრუნველომ იდღესასწაულა თეატრში გოგოლის ხსოვნის იუბილე.

რიგა. 10 თებერვალს „ერმაკმა“ ჩაიარა ნახშირი რეველში და რიგაში წავიდა, რომ განთავისუფლოს გემი „გენერალ სკობელევი“, რომელიც ყინულში გაიჩხირა სალისთან.

პარიზი. ჩეხიის პუბლიცისტი შმიდტი ბოშეცი მოვიდა პარიზში პოლიტიკურის მიზნით, „ბედინიერის“ დარბაზში წაიკითხა დიდებული რეფერატი, რომელშიაც აღნიშნა შიში სახალხთაშორისო პანგერმანიზმისა და თანაგრძნობა საფრანგეთის და ჩეხიის ინტერესებისა. შერიდანის ხსენებამ ტაში კვრა გამოიწვია..

კარგა ძალი ხალხი, რომელთა შორის სერბიის დელეგაციაც იყო, მიესალმა პრაგის მუნიციპალიტეტის მოსვლას გიუგოს სადღესასწაულოდ.

პალერმო. მარცამემიდან მოსულის ცნობებით, კაპრიდან მიმავალი რუსეთის გემი „მარია გეორგიევნა“ ნაპირთან დაიმსხვრა. სამი გემის მოსამსახურე ნავით გადარჩა, ხოლო 14 კაცი, მათ შორის კაპიტანი ცოლით, გადაარჩინეს მაშველი გემით; რადგანაც დაღამდა, 14 კაცის გამოყვანა, რომლებიც გემზე არიან, სადღეოთ გადაიდვა.

12 თებერვალი.

პეტერბურგი. შეცდომის გასწორება. 11 თებერვალს დილით ბუხარის ემირი თავის მემკვიდრისა და ამალის თანხლებით სადარბაზოდ იყო თურქესტანის გენერალ-გუბერნატორთან, სამხედრო მინისტრთან და მთავარ შტაბის უფროსთან.

პეტერბურგი. ბუხარის ტახტის მემკვიდრეს უმაღლესად ებოძა უგან-დიდებულესობის ხარისხი.

10 თებერვალს წირვის შემდეგ მათ უდიდებულესობათ გამართულ ჰქონდათ საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ხელმწიფე იმპერატორის ამალის ზოგიერთნი პირნი, შინაგან საქმეთა მინისტრი და ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტაცია.—უმაღლესის რესკრიპტით დიდ-მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს უმაღლესი მადლობა გამოეცხადა დაჭრილთა კომიტეტში 10 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობისათვის.

მეცამეტე კორპუსის არტილერიის უფროსი გენერალი მაზინგი დაჭრილთა კომიტეტის წევრად დაინიშნა.

ხელმწიფე იმპერატორის კაბინეტის გამგე გენერალი რიძევსკი პეტერბურგში დაბრუნდა და სამსახურის ასრულებას შეუდგა.

მოსკოვის მიტროპოლიტის გარდაცვალებულის მაკარის პრემიები დაინიშნა: 500 მანეთიანი—მღვდელს კობზანსკის და 225 მანეთიანი—კიევის უნივერსიტეტის პროფესორს პეტრე ვლადიმირივს.

ფინანსთა სამინისტროს ეკითხებიან, როდის მოისპობა 21 ივლისს დაწესებული დამატებითი ბაჟი ბამბაზე; ამის პასუხად სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხმა, ვითომც ეს ბაჟი მოისპო, სიმართლეს მოკლებულიაო.

მოსკოვი. დაიწყო სხდომები მეღვინე-მევენახეთა კრების სექციებისა. კრებაზე ორი მიმართულება აღმოჩნდა: ერთნი, რომ ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენისა იყოს, მეორენი კი შესაძლებლად სთვლიან შაქრისა და სპირტის გარევას.

გოგოლისა და ჟუკოვსკის სახელის პატივსაცემლად გაიმართება გამოფენა საისტორიო მუზეუმში; მოხდა გამოფენის გამმართველ კომისიის სხდომა.

ბელგრადი. ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა მინისტრის პატივსაცემლად გაიმართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ მეფე ალექსანდრე და უცხოელნი ელჩნი. მეფემ დალია ჩერნოგორიის მთავრის სადღეგრძელო და აღნიშნა, რომ ორთავე სახელმწიფოთა სურვილია თანხმობით იმოქმედონ ყველა საქმეებში. მინისტრმა სერბიის მეფისა და მისი ოჯახის სადღეგრძელო დალია. მინისტრი გუშინ ცეტინიეში დაბრუნდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საკათედრო ტაძრის სარდაფში, იმ ადგილს ქვემოდ, სადაც მინინის კუბო ასვენია, ცეცხლი გაჩნდა. მეტის მეტი სიცხე და კვამლი ხელს უშლის ცეცხლის ქრობას; წყალიც ვერ ჩაუსხამთ იმის შიშით, რომ საძირკველს გააფუჭებს.

ბაქო. შემახის კომიტეტმა გამოიანგარიშა, რომ სულ დაზარალდა 2561 ოჯახი, რაც შეადგენს—14,300 სულს; ამოთხრილია 882 გვამი, მათგან 31 სომეხი, დანარჩენი მაჰმადიანი. მიწის რყევა შეწყდა. შემახიდან გადასახლდა 5000 კაცი. კომიტეტს ეჭირვება ფულები და კარვები.

შემახა დაათვალიერა კავკასის მთავარ-მართებელმა.

ოდესა. მოვიდა საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზენგერი; მისი თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა უნივერსიტეტის საბჭოსი ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად; შემდეგ ზენგერი დაესწრო სისხლის სამართლის ლექციას, დაათვალიერა საექიმო ფაკულტეტის შენობა და კლინიკა.

ტიუმენი. ტობოლის სამეურნეო საზოგადოების კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ იმის შესახებ, რომ კურგანში სასოფლო მეურნეობის გაზეთი გამოიცეს.

ასტრახანი. უმთავრესი სანავთო ფირმები აწესებენ სინდიკატს იმ განზრახვით, რომ ნავთის ფასის საქმე მოაწესრიგონ.

ვაშინგტონი. ჩამოვიდა პრინცი ჰენრიხი პრუსიელი.

ბელგრადი. ხმა არის, რომ ჩერნოგორიის მინისტრი სერბიაში იყო ჩერნოგორიის სამთავრო ოჯახში ერთის ქორწინების საქმის გამო.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 5 თებერვალს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,27¹/₂
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6¹/₂⁰/₀
⁰/₀ სახელმწიფო რენტა	96¹/₈ გამყიდვ.
4¹/₂⁰/₀ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4⁰/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5⁰/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478¹/₂ გაყიდ.
5⁰/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	386¹/₂ „
5⁰/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	313¹/₂ „
3¹/₂⁰/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5⁰/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	— „
4¹/₂⁰/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5⁰/₀ გირავნ. ფურცლ	89³/₄ „
4¹/₂⁰/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	— „
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6⁰/₀ გირ. ფურცლ	—
5⁰/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—12)

ახალი წიგნი
საქართველოს წმიდანები
შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ
მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის რჩევისაგან.
იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—6)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს
კაბების, წამოსასხამების საცვლების და საცვლეებზედ ნიშნების, (მეტკების).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

---

*) ისტორია ქართვ. ქვ. დრუჟინისა ნ. ავალსკისა გვერდი 321.

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.